ცნობის ფურცელი

№ 2531 ორშაბათი, 21 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2531

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
[illegible] ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—130)

ფასი 25 კაპ. დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კაპ.

„ლალატი“

ისტორიული ლეგენდა 5 მოქ. თავ. ა. ი. სუმბათაშვილისა, თარგ. კ. მესხის-მიერ. ვინც 50 კაპ. ეგზემპლიარზე მეტს იყიდის—წიგნი დაეთმობა 18 კაპ. ადრესი: Грузинское Издательское товарищество. (0—12)

ქ. სიღნაღში,
გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ნომრები ყოველ დღე იყიდება სერგო მიხეილის ძე ამირალოვის მაღაზიაში.

1905 წ. კედლის 1905 წ.
ქართული კალენდარი
სურ სურს ჩვენი კალენდარი დაიბეჭდოთ
სილამ. მომავალ 1905 წლისათვის,
სადგო ინათვე შეგვატყობინონ ვინ რამდენს ისურვებს,
რომ იმის კვალობაზე ვუდგეთ ბეჭდვას.
თავით დაიკვეთს და გამოგვიგზავნის,
შაურით ნაკლებ დაეთმობათ ეგზემპლიარი
დაბეჭდვის შემდეგ მყიდველებთან შედარებით.
თხოვთ წერილები ამ წარწერით გამოგვიგზავნონ:
Тифлисъ. Типографія Григорія Васильевича
віани. (5—6)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა ლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

ჰ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—20)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა [illegible] თის ქუჩა, № 24 სახლი ვახნაძისა.

სია

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული 1904 წ. მაისის განმავლობაში.*)

№№	სახელი და გვარი	მან.	კ.
108	ვარლამ ჭილაძე	6	—
109	სილოვან კალანდაძე	6	—
110	ელენე ღლონტისა.	6	—
111	მაკრინე ღლონტისა	6	—
112	იოსებ ბახტაძე	6	—
113	ტერეზია ხმიადოვისა.	6	—
114	ანნა არდაზიანისა	6	—
115	ილია აღლაძე	6	—
116	დავით ნატრაძე.	6	—
117	ისაია ფურცელაძე.	6	—
118	ნიკიფორე კანდელაკი	6	—
119	ნიკოლოზ ერისთავი	6	—
120	ბარბარე იაშვილი	6	—
121	ვლადიმერ კორინთელი.	6	—
122	დავით ხიზანაშვილი	6	—
123	ანტონ ფურცელაძე	20	—
124	იასონ ციციშვილი	6	—
125	არხიპ ტატიშვილი	3	—
126	კონსტანტინე ჯემარჯიძე	3	—
127	ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი . . .	3	—
128	ტიმოთე მენიგიშოვი.	3	—
129	ვლადიმერ სარჩიმელია	3	—
130	ტარასი ვაშაკიძე.	3	—
131	ივანე ქავთარაძე	3	—
132	ნოე კოროშანიძე	3	—
133	ილია მებუკე	3	—
134	კონსტანტინე ვაშაკიძე	3	—
135	დეკ. პეტრე კონჭ[illegible]შვილი	6	—
		421	—
	სულ ამ წლის განმავლობაში . . .	997	—

ახალი ამბავი

◆ დღეს, 21 ივნისისათვის, დანიშნულია ტფილისის **ქალაქის საბჭოს** 17 ივნისის კრების გაგრძელება.

◆ შარშან ბათუმში დაარსდა **ახალი ამხანაგობა** ამ სახელით: „ხე-ტყის მწარმოებელი ამხანაგობა სკოტ-ელლიოტ და ამხ.“ მთავარ-მართებელმა ეხლა ნება დართო ამ საზოგადოებას, აიღოს იჯარით სურებში, ოზურგეთის მაზრაში, თავ. ერისთავების ტყეები და შეიძინოს სუფსის სადგურთან 25 დესეტინა მიწა სახერხ ქარხნის გასამართავად.

◆ მთავრობას აზრადა აქვს შესცვალოს **საზღვრები ქუთაისისა და სენაკის** მაზრებისა. ჰფიქრობენ, სამიქაოს საზოგადოება ქუთაისის მაზრისა სენაკის მაზრას მიაწერონ, ხოლო ილორის საზოგადოება სენაკის მაზრისა—ქუთაისის მაზრას.

ქუთათურ ქალთა სამეურნეო საზოგადოება „შრომა“

(წერილი ქუთაისიდან)

ქ-ნ ნ. პ. ქიქოძის თაოსნობით ქუთაისში დაარსდა ქალთა სამეურნეო საზოგადოება „შრომა“. საზოგადოების დამფუძნებელ წევრად ითვლება 30-მდე ქალი, რომელთაც წესდების პროექტზე უწერიათ ხელი. საზოგადოებას აქვს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება. ამ საზოგადოების დროებითმა კომიტეტმა 15 ივნისს მოიწვია ქალთა კრება, რომელსაც 80-მდე ქალი დაესწრო, დაესწრნენ მამაკაცებიც, რომელნიც მიწვეულნი იყვნენ, და გარეშე საზოგადოება. ქალაქის საბჭოს დარბაზი გაჭედილი იყო. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ქ-ნი ნ. პ. ქიქოძისა და მდივნად ბ-ნი ს. ქვარიანი. თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით მიმართა კრებას, რომლითაც აღნიშნა ქალების საზოგადოებრივი და ოჯახური მნიშვნელობა წარსულში და ეხლანდელი მათი მდგომარეობა, გააცნო საზოგადოების მიზანი და სთხოვა, წევრებად ჩაწერილიყვნენ. საზოგადოების მიზანი სიმპატიურია: ქუთაისის გუბერნიაში საქალო შრომის ხელის შეწყობა და გაძლიერება, როგორიცაა: მეაბრეშუმეობა, აბრეშუმის თესლის დამზადება, ქსოვა და ჭრა-კერვა, მებოსტნეობა, ფრინველებისა და საქონლის მოშენება, მეფუტკრეობა, მზარეულობა და სხ. კრება დიდის თანაგრძნობით მიეგება მოხსენებას და ტაშის ცემით დააჯილდოვა ქ-ნი ქიქოძისა.

კამათი გაიმართა საწევრო ფულის რაოდენობის შესახებ. წესდების ძალით წევრმა ერთდროულად უნდა გადიხადოს 5 მანეთი, შემდეგ ყოველწლიურად ორ-ორი მანეთი. კრებამ საუმჯობესოდ დაინახა, საწევრო გადასახადი პირველ წელს სამი მანეთი იყოს და შემდეგ ყოველწლობით ორ-ორი მანეთი. შემდეგ სამოცზე მეტმა ახალმა წევრმა ხელი მოაწერა საწევრო სიას. ამას მოჰყვა საზოგადოების საბჭოს წევრთა არჩევა. ერთხმად არჩეულ იქმნენ: საბჭოს თავმჯდომარედ გ-ნა მ. გ. ჩერქეზიშვილისა, იმის მოადგილეთ ნ. პ. ქიქოძისა, ხაზინადრად ა. ბ. დორთქიფანიძისა, მდივნად მ. ო. ვარდოსანიძის ასული; წევრებად: გ-ნა ა. ნიჟარაძისა, კნ. ა. დადეშქელიანისა და ა. გ. კემულარიას ასული; ამათ კანდიდატებად: ვ. ს. ბერიძის ასული, ც. გაბუნიასი და ქ. სტეფანოვისა; სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: კნ. მ. ო. ერისთავისა, კნ. ვ. ერისთავისა და ქ-ნი პ. ზ. ჯაიანისა; ამათ კანდიდატებად ქ-ნი პ. გ. ხუნდაძისა და ქ-ნი მათიკაშვილისა. საზოგადოების საპატიო წევრთა მიღება კრებამ საბჭოს მიანდო.

კრებამ საჭიროდ სცნო, რომ წელიწადში საზოგადო კრება მოხდეს სამჯერ: იანვარსა, მაისსა და სექტემბერში. საბჭოს კრებები კი თვეში ერთხელ მაინც უნდა იმართებოდეს. დაპარაკი ჩამოაგდეს ქალთა სამეურნეო სკოლის დაარსებისა და სამინისტროსაგან დახმარების გამოთხოვის შესახებ. დადგენილ იქმნა: სამინისტროს წინაშე შემწეობის აღძრვის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა და სამეურნეო სკოლის დაარსება მიენდოს კრების მიერ არჩეულ საბჭოს. სკოლის გეგმის შესამუშავებლად კი არჩეულ იქმნენ: ჭრა-კერვისა და ხელსაქმის განყოფილებაში—გ-ნა ჩერქეზიშვილისა, ქ-ნნი ქიქოძისა, რუბანისა და რთინოვისა; მეაბრეშუმეობის განყოფილებაში: ქ-ნი ქიქოძისა, ბ-ნნი ნ. მკურნალი, ს. ა. ქვარიანი, ტ. ლამბაშიძე და კ. ი. ოცხელი; მზარეულობის განყოფილებაში: ქ-ნნი ქიქოძისა, კემულარიასი, მათიკაშვილისა და სიმონოვისა; საქონლის მოშენებისა და მერძეობისაში: ქ-ნნი ქიქოძისა, მათიკაშვილისა, ბ-ნნი მკურნალი და ლანგი; ფრინველთა მოშენებისაში: ქ-ნნი ქიქოძისა, ჯაიანისა და ბ-ნი მკურნალი; მებოსტნეობაში: ქ-ნი ქიქოძისა, ბ-ნნი მკურნალი და ჩხატარაიშვილი; წერა-კითხვის განყოფილებაში: გ-ნა ჩერქეზიშვილისა, ქ-ნი ქიქოძისა, ბ-ნნი ი. ი. ოცხელი, ს. ა. ქვარიანი, ნ. მკურნალი და კ. ი. ნიკოლაძე. სკოლის გეგმა უნდა შემუშავდეს ორის კვირის განმავლობაში და წარედგინოს დასამტკიცებლად საზოგადოების მიერ არჩეულ საბჭოს. დასასრულ კრებამ ტაშის ცემით მადლობა გამოუცხადა საქმის მოთავეს ქ-ნ ნ. პ. ქიქოძისას.

წერილები

ხოფ. ხარალი (ბორჩალოს მაზრა). აქაურები ძლიერ ემდურიან დაუსრულებელ წვიმიან გაზაფხულს. დიდის წვიმების გამო წელს ჯეჯილი მაღალი გაიზარდა და ქარმა სულ ერთიანად მიაფანა ყანები და, უიმისოდაც მარცვალ ნაკლები ჯეჯილი გაახადგურა. ამას რა თქმა უნდა, ხალხის დამშევა მოჰყვება. ჯერ ისედაც, როცა კარგი მოსავალია, არა ჰყოფნით აქაურებს საზრდო, ასე რომ ბევრი ყიდულობს. აქეთკენ ძლიერა აქვს მევახშეობას ფესვი გადგმული. თითო თალარ პურს რომ ვინმე ისესხებს ჩარჩისაგან (თალარი ათი ფუთია), ნახევარი თალარი სარგებელია უნდა მისცეს. და ამგვარად ხორბლით დავალიანებულს ოჯახს ძალიან ბევრს შეჰხვდებით ამ მაზრაში. სამწუხარო ის არის, რომ კალოობაზე პურს ჩალის ფასად ჰყიდიან და მერე თითონვე მამასისხლად ყიდულობენ თავიანთ გაყიდულ ხორბალს. ამ მაზრას სწორედ შესაფერი სახელი რქმევია: „ბოშ-ჩვალო“, ე. ი. ცარიელი ტომარაო. ჩარჩ-ვაჭრების ბუდე შულავერშია. ესენი ყოველის გზით ხელს უწყობენ ხალხის გალატაკებას. თვითონ ხალხი ხომ ისე დაბეჩავებულ-დაზარმაცებულია, რომ უსაქმოდ ყოფნა ყველაფერს ურჩევნია. ბოსტანი რაა, იმასაც-კი მოსული სპარსელი მუშაობს; ყანის მომკა ხომ იმათ ხელშია, რისთვისაც გადაწყვეტილს ნაწილს იღებენ. თვითონ ადგილობრივი თათრები დღისით მიწურ ქოხში შეძვრებიან და მოუჯდებიან მაწვნიან ჭოთანს, ღამით-კი საქურდლად დანავარდობენ. ერთმა თათარმა სთქვა: „ჩვენში ძალიან სირცხვილია მთელ ღამეს სახლში ძილი. სახლში დავრდომილი მოხუცი, ან ავადმყოფი უნდა იყოს, ვაჟკაცი-კი საშოვარზე უნდა წავიდესო“. სოფ. სარალში არის სახალხო მატარებლისათვის პლატფორმა,—შულავერში მიმავალნი აქა ჰხტებიან. აქვეა სამიკიტნო, სადაც თავს იყრიან ჯიბის ოსტატები და ლატარიის მოთამაშე ვაჟბატონები. ტფილისიდან ყირსისაკენ მიმავალს ყოველ მატარებელს მიჰყვებიან ხოლმე ესენი. ექვსი ან შვიდი კაცი გამართავს მატარებელში ლატარიას (რასაკვირველია, ესენი ამხანაგები არიან). აიძრება თუ არა ტფილისიდან მიმავალი მატარებელი, ერთი მათგანი გამოიღებს დარდუბალის კიდობანს—შუშიან ყუთს, რომელშიაც ათასგვარი საწვრილმანო რამეებია, დაიდგამს მუხლზე და დაიძახებს: ვისა ჰსურს ლატარიის თამაშში მონაწილეობა მიიღოსო! ამ დროს მიუახლოვდება ერთი გლეხურად ჩაცმული, ამოიღებს ფულს და იწყება „თამაში“. ლატარიის პატრონს სამი სათითე აქვს, ერთში ჰმალავს პატარა კენჭს და ვინც იპოვნის, ის იგებს დათქმულ ფულს, თუ არა და—ლატარიის პატრონი. მაგრამ მოხერხებული მელატარიე ისე ჰმალავს ამ კენჭს, რომ ადვილად საპოვნელია, რითაც ხალხს აქეზებს. ჯერ „სხვები“ ეთამაშებიან და იგებენ, (ეს სხვები ამხანაგები არიან), მერე კი მგზავრებიც ატორზიალდებიან, რაკი ბლომა ფულის აღებ-მიცემობას ჰხედავენ, და აი, აქ შესტოპავენ... ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ არ შეეცოდოს ის მუშა ხალხი, რომელსაც მთელის წლობით უშრომნია, ოფლი ულვრია და წვითა და დაგვით მონაგარ ორიოდე გროშს ხუთის წუთის განმავლობაში ხელიდან აცლიან. ამას წინად ტირილითა და თავში ცემით გამოვიდა ერთი მუშა-სომეხი და ვაგონის აივანზე მდგომთ მოგვმართა: ვინა ხართ ღვთიანი, ტყვია მესროლეთ და მომკალითო. ექვს თვეს ნავთლუღის სადგურის მოიჯარადრესთან ვმუშაობდი, ოცდა ცხრა მანეთამდე მოვაგროვე, ცოლშვილთან მივდიოდი, ამ ლატარიის პატრონებმა შემამჩნიეს, გამაბრიყვეს და სულ ერთიანად წამაგეთო. ჩვენ ეს ამბავი მაშინვე შევატყობინეთ მატარებელში მყოფ ჟანდარმს, მაგრამ იმან გვითხრა, ეგ ჩემი საქმე არ არის, მე ფოსტას მივყვებიო. უფროსმა კონდუქტორმა კი გვითხრა, რამდენჯერმე დაუჭერიათ ეს ვაჟბატონები ჟანდარმებსა, მაგრამ, რაღაც მანქანებით, მეორე დღეს, იმის ნაცვლად რომ საჯიბმეისტრო აბახოში ამოჰყონ თავი, ისევ მატარებელში გაჩნდებიანო. ერთის სიტყვით, ყარსის მატარებელი ამ ვაჟბატონების მონტე-კარლოა ცოტაოდენის—ასე ვთქვათ—ცვლილებით... ჩვენა გვგონია, ასეთი ძარცვა-გლეჯა ხალხისა სხვა ქურდობათა კატეგორიას არ უნდა ეკუთვნოდეს!..

X.

—

თელავი. არავინ არ იცის, ბ-ნ ობოვიანცის დილიჟნები იმიტომ დადიან თელავსა და ტფილისს შუა, რომ კახელები, მათი სტუმრები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა კორესპონდენცია რიგიანად ცადიტან-გადმოიტანონ, თუ კახელები მოვალენი არიან ყოველ დღე 4—12 დილიჟნამდის მგზავრებით გაავსონ, სულზე 4 მან. გადაიხადონ ბ-ნ ობოვიანცის სასარგებლოდ და ურიგობა-რიგიანობაზე-კი ხმა არ ამოიღონ? ბევრსა ჰგონია, ბ-ნ ობოვიანცმა დილიჟნების მოძრაობა მოაწესრიგა ტფილისსა და თელავს შუა მგზავრობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაო და, ვითომც ამისათვის რამდენიმე მოვალეობაცა აქვს ნაკისრი, როგორც, მაგ., ყოველ დღე ჟურნალ-გაზეთების და უბრალო კორესპონდენციის და კვირაში ორჯელ დაზღვეულ და ფულიან წერილების წაღებ-მოტანა და უწყებულ საათზე ფოსტის განყოფილებაში ჩაბარება. ვითომც ამის გამო დილიჟნების მოძრაობა და მისი ურიგობა-რიგიანობა საადმინისტრაციო და საფოსტო კანონმდებლობას ექვემდებარებაო. ასეთი შემცდარი აზრებია გავრცელებული და ვინ იცის, რამდენ სამდურავს და ამაზე მეტსაც არ უთვლიან ბ-ნ ობოვიანცს! ჩემის აზრით,

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2527.

ბ-ნ ობოვიანცს არა თუ არავითარი კანონმდებლობითი მოვალეობა არა აქვს ნაკისრები, არამედ ისე ზნეობრივადაც-კი არ არის რაღაც „რიგიანობის" მოვალე კახელებისა და თელაველების წინაშე. ერთად-ერთი მოვალეობა მისი ის არის, ფული არავის შეარჩინოს. თუ ყველა ეს ასე არ იყოს, განა თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს, რომელიც ამ უწყებაშია დაბერებ[illegible]ი, გამოეპარებოდა მაგისთანა რამე? წინააღმდეგ, ბ-ნი პ. პ. ხუნდაძე თავთავის დროს რევიზიას უშვრება ბ-ნ ობოვიანცის საფოსტო-სადგურებს და ყოველთვის ისეა საქმე, როგორც უნდა იყოს. მართალია, ამაზე ბოროტი ენები რაღაცეებს ამბობენ, მაგრამ რა ვუყოთ, ვიზედ არ ამბობენ? ან ვინ უჯერებთ იმათ? ან რა უნდა იყოს იმათში საერთო? ბ-ნი ობოვიანცი მდიდარი კომერსანტია, ბ-ნი ხუნდაძე მოხელე. აბა, „საიდამ სადაო წმ. საბაო", „სად ერეკლეო, სად თეკლეო"?!. ეგეც რომ არ იყოს, მაინც რა საკვირველია, რომ აგერ ორ თვეზე მეტია, რაც დილიჟნები მეტისმეტად იგვიანებენ? მშვენიერი სანახავია თელავ-ტფილისს შუა მდებარე ადგილები; დილიჟნები ნელა დადიან, რომ მგზავრებს შეეძლოთ დასტკბნენ სანახაობით. თუ ფოსტას აღარ არჩევენ საფოსტო კანტორაში, ბ-ნ აბოვიანცისა რა ბრალია? ხშირად ცხრის ნახევარზედაც მოაქვს ფოსტა, მაგრამ მაინც არ არჩევენ. განა ცხრის-ნახევარი დაგვიანებული დროა? ახლა რა არის, რომ უწერია, ყოველ დღეს საღამოს 5 საათსა და 20 წუთზე ფოსტა უნდა ჩააბაროს საფოსტო განყოფილებას? განა არაფრით აიხსნება დაგვიანება? ჯერ ერთი, რომ გზა ძალიან გაფუჭებულია. სანამ ინჟენერი ანდრონიკაშვილი იყო ამ გზის გამგებლად, ქვეყანა იმაზე ლაპარაკობდა, გზას ჯეროვანათ ყურს არ უგდებსო. და ამ ლაპარაკს აწვდენდნენ კიდეც თავ. ანდრონიკაშვილს ყურამდის, რაკი ის თელავში ცხოვრობდა. იმისი მოადგილე ტფილისში ცხოვრობს, მოდი თელავიდან ხმა მიაწვდინე. მთელი გზა გაფუჭებულიაო, ყველა იმას ჰყვირის. ამბობენ კიდევ, რომ დილიჟანში ბევრსა სხამენო. თუ ოთხ ადგილიან ეტლში 5 და 6-ს სხამენ, თუ ექვს ადგილიანში 7 და 10 სხამენ, ამისათვის მადლობელნიც უნდა იყვნენ და არიან კიდეც. მაშ, რად აძლევენ ოთხ ადგილში ექვსის ფასს? იმიტომ რომ მადლობელნი არიან. აგრეთვე კიდევ გზებისა: რომ გააკეთონ, სადაც გაფუჭებულია, განა აღარ გაფუჭდება? აგერ ყველას თვალ-წინ—კურდღელაურში—გზა ჩაუხრამავს ნიაღვარს და $1^{1}/_{2}$ საჟენი კლ[illegible]ე გაუკეთებია, დღეს თუ არა, ხვალ უბედურება მოსალოდნელია, რადგან არც ვინმე აკეთებს ამ საფოსტო გზასა და არც ისეთი მადლიანი გამოჩენილა ვინმე, რომ ბოქაულის ბრძანება შეასრულოს, ერთი ლატანი ხარიხად გასდოს მგზავრების საჩვენებლად. თუნდა ეს ჩახრამული ამოავსებინონ, როგორც რიგია და დახარჯონ ამისთანებისათვის გადადებული ფული, ახლა ვინ იქმნება თავდები, რომ მეორედ ნიაღვარი უარესად არ გააფუჭებს? თუ-კი გააფუჭებს, რიღისათვის დახარჯონ? ასეთივეა გომბორის გზაც: გააკეთებენ, ისევ გაფუჭდება. რაკი იციან, რომ გაფუჭდებაო, რაღად უნდა დახარჯონ გასაფუჭებელზე? სხვა გზა აღარა აქვს ფულსა? ან რა ატეხილობაა: იმავე დღეს რომ არ წავიკითხოთ გაზეთი, რა დღესაც გამოდის, არ შეიძლება? ან კიდევ იმავე დღეს რომ არ წავიკითხოთ წერილები, რა დღესაც ფოსტა მოაქვთ, არ შეიძლება მეორე დღემდის მოვითმინოთ? მოუთმენლობა, ხომ იცით, კარგ თვისებად არ ითვლება და აი, ფოსტის მიუღებლობა მოთმინებას გვასწავლის.

ნადიკვრელი.

ქიზიყი. ხანგრძლივ ავდრების შემდეგ ივნისის პირველ რიცხვებიდან ძლივს გაიშალა ხალხი სამუშაოზე: ქერების სამკელად და თივის სათიბათ; ზოგგან კალოებზე ქერების დალეწვა დაიწყეს. ვაკე ადგილებში განუწყვეტელის წვიმებით დაგუბებულმა წყლებმა, ბევრგან ააშუშა, აახალავა ყანები, ზოგგანაც ერთგვარმა ჭიამ მოსპრა მიწაში გაზაფხულზედვე და ამით დიდი ზარალი მისცა ქიზიყის მოსალოდნელს უხვს მოსავალს; ამიტომ შუათანაზედ ნაკლებს მოელიან. ვენახებს საარაკოდ ესხა; ასე რომ ჯერ არ მოსწრებიან ქიზიყის მცხოვრებნი ამისთანა ვენახების სხმას, მაგრამ ობი გაუჩნდა და ნახევარზე მეტი ყურძენი დალუპა. ამ ობს ზოგი ავდრებს აბრალებს და ზოგიც დროზე შეუწამლობას. დიდი ყურადღება მიიქცია ბ-ნ ნადიკვრელის წერილმა „ცნობის ფურცელში" ვენახის წამლობის შესახებ. ამით დაინტერესებულნი (რა გაიგეს გაზეთები მომდის) მრავალნი მოდიან, რომ ავუხსნა, გოგირდის წამალთან შეზავება, და ან რა შედეგი ჰქონია კოლელაშვილის ამ გვარად შეზავებულ ვენახის წამლობას. მაგრამ წამლობა ვერ გაუბედნიათ თითო ორ-ოლას მეტს. აპრილში მოსულმა თოვლმა, ხეხილი ისე დაზრო, გააფუჭა, რომ აღარაფერს შერჩა ნაყოფი. ქურდობის შესახებ ხომ აღარა ითქმის რა ქიზიყელებზე. ჩვენში ქურდობაში საქართველოს ყველა კუთხეს გადააჭარბეს. ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ქურდობა, ვენახების აჭრა, კაცის კვლა და ათას-გვარი სისაძაგლე.

დროებით ქიზიყელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ქვრივი თავად მერაბ გიორგის ძის ლორთქიფანიძისა კნეინა ელპიდი ლორთქიფანიძისა შვილებითურთ უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმათ, რომელთაც ინებეს და პირადად თუ ტელეგრამებით სამძიმარი გამოუცხადეს ძვირფას თავად მერაბ ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო.

ქვრივი თავად მერაბ ლორთქიფანიძისა ელპიდი შვილებითურთ.

სოფ. ჩუნეში. 10 ივნისი 1904 წ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ივნისი

მუკდენი. პორტ-არტურიდან მიღებულ ცნობებით, ციხეში სრული სიწყნარეა. მცხოვრებლები იმდენად შეეჩვივნენ იაპონიის ფლოტის ზარბაზნების სროლას, რომ არაფრად აგდებენ და ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობს. სურსათი საკმაოა.

ლონდონი. ტოკიოდან დეპეშით იუწყებიან, რომ პარასკევს, საღამოთი, ფუზანის სამხრეთით, ბრაუტონის სრუტეში დაინახეს ვლადივოსტოკის ესკადრის სამი კრეისერი. 15 წუთის განმავლობაში ზარბაზნების სროლის ძლიერი ხმა ისმოდა. ბრძოლის შედეგი ცნობილი არ არის, ჰფიქრობენ კი, რომ რუსებს დიდი ზარალი არ მოსვლიათ. რუსის კრეისერები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ წავიდნენ.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ."). პორტ-არტურში დარჩენილ ზოგიერთ უცხოელებს, იმათ გარდა, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს, ებრძანათ ციხიდან წასვლა. ნორვეგიის გემი „სენტის"-ი პორტ-არტურშია. ამ გემმა ქალები და ბავშვები უნდა წამოიყვანოს. რუსის ყველა ქვეშევრდომს ებრძანა პორტ-არტურის დამცველთა რაზმში შესვლა.

ლიაოიანი. („რეიტ. სააგ."). როგორც ჩანს, იაპონელთა სტრატეგია ამ ბოლო დროს უნაყოფოა, თუმცა იაპონელებს ყველა უღელტეხილი უჭირავთ, დალინის უღელტეხილს გარდა, რომელიც ისევ გენერალმა კუროპატკინმა დაიჭირა. იაპონიის გვარდიის დივიზია აღმოსავლეთისკენ იწევს.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ დილის დეპეშებში, გენერალ ალექსეევის გამოგზავნილ დეპეშაში იაპონიის ფლოტზე უნდა იყოს: „დაინახეს ოთხი პირველ ხარისხისა და ერთი მეორე ხარისხის ჯავშნიანი გემი, ოთხი პირველ ხარისხის ჯავშნიანი კრეისერი, მეორე ხარისხის შვიდი კრეისერი და მესამე ხარისხის ხუთი კრეისერი და სხ."

20 ივნისი

პეტერბურგი. რადგან არმიის პირველი კორპუსი შორეულ აღმოსავლეთში მიდის, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ბრძანა, გამოანაწილონ პირველ კორპუსიდან მე-50 სარეზერვო ბრიგადა და მე-22 და 37 საარტილერიო ბრიგადები და დაუქვემდებარონ ისინი არმიის მე-18 კორპუსის უფროსს.

ლონდონი. („რეიტ. სააგ."). ტოკიოდან იტყობინებიან, რომ პარასკევს რუსის გემებმა მოახერხეს და კამიმურას გაექცნენ.

იოკოგამა. რუსებმა ისევ იერიში მიიტანეს იაპონიის ესკადრაზე ოკინოშიმას სამხრეთ დასავლეთით და მისდევენ მას ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ. ჯერ ბრძოლა არ გათავებულა.

19 ივნისი

ათინა. საერო განათლების მინისტრისა და დეპუტატ ჩაკო-პეტროსის შორის დუელი მოხდა. დეპუტატი მოკლულ იქმნა. მინისტრი სამსახურიდან გადადგა—მოვიდა შეერთებულ შტატების ჯავშნიან გემთა ესკადრა.

სტამბოლი. პრიზრენში მყოფ რედიფთა სამი ბატალიონი, რომელთაც ამბოხება მოახდინეს, რადგან არ ანთავისუფლებდნენ სახელმწიფო სამსახურისაგან, დამშვიდდა და თავი მიანება ტელეგრაფის სადგურს. დაჰპირდნენ, 15 დღის განმავლობაში გაგანთავისუფლებთ და სათადარიგო ჯარში ჩაგრიცხავთო.

მოსკოვი. გუბერნატორის თაოსნობით იხსნება თავად-აზნაურობისა და ერობის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომიტეტი გრიგალისაგან დაზარალებულ გლეხთა დასახმარებლად. დაზარალებულთ გაუმართავენ თავშესაფარს და დაურიგებენ საჭმელს. გამოირკვა, რომ გრიგალისაგან დაზარალებულია სერპუხოვისა, პოდოლისა, მოსკოვისა და დმიტროვის მაზრები.

20 ივნისი

პეტერბურგი. არმიის მე-16 კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ტოპორნინი გრენადერთა კორპუსის უფროსად დაინიშნა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა აკრძალოს გაზეთ „ნოვოსტი"-ს ცალკე ნომრების გაყიდვა.

ათინა. დედოფალი და მთავარი ნიკოლოზი მეუღლით რუსეთს გაემგზავრნენ.

ბელგრადი. ცნობა, ვითომ სერბიის მეფე ბულგარიის მთავარს ესტუმრება სიტნიაკოში, საფუძველს მოკლებულია.

პეტერბურგის ბირჟა, 18 ივნისი

ვექსილის კურსი 18 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,95	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,35	
ლონდონისაზე ჩეკები	94,50	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	$37{,}52^{1}/_{2}$	
ბირჟის დისკონტი	6-$7^{1}/_{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	92	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	87	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	380	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	294	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	258	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
$4^{1}/_{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	$88^{1}/_{2}$	„
$4^{1}/_{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	$87^{1}/_{4}$	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	190	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ფოთისაკენ: ...

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, ბაქტერიოლოგიური განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—45)

„გამომც. ქართველთა ამხანაგობის"

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ბოუმა ბანანსი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელო მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. [illegible] წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ენთხი	1	—
რძე, მისოგე	1	50

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. კანვერტზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხ.-სამკ. აკადემ. პრივ.-დოც. პ. თ. ფედოროვისა, თარგმ. კბილის ექ. ი. პ. ახალშენიშვილისა. **ისყიდება:** „ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ." და „წიგნ. გამომც. ქართ. ამხ." წიგნის მაღაზიასა და კიოსკში დ თარგმნელთან (ელისაბედის ქ., № 38). ვინც ნაღდ-მფულად 100 ცალზე არა ნაკლებს დაიბარებს, 40% დაეთმობა. წიგნაკს დართული აქვს 7 ნახატი (ორი ფერადი), შეიცავს 124 გვ. და ღირს 40 კაპ.

(0—6.—14)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამ წლის 22 აპრილიდან დავნიშნე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნაღდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

პატივისცემით ბ. გ. ბერიევი.

60—189 —45)

Доз. ценз. 20 Іюня 1904 г.

ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ბის.

Электропеч. Груз. Изд. То—ва